



წარმოებულ ფინანსური ინსტრუმენტების ბუღალტრული აღრიცხვა

ხელშეკრულებები საქმიანი სამყაროს ყოველდღიურობად იქცა - იქნება ეს ყიდვა-გაყიდვის ჩვეულებრივი ურთიერთობა თუ უფრო მნიშვნელოვანი კონტრაქტი განსაზღვრულ ფასად, განსაზღვრულ ადგილას და განსაზღვრული აქტივის მიწოდებაზე.

ეს უკანასკნელი წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტად იწოდება და დაჯავშინებულია საბაზისო ობიექტის არაპირდაპირი გზით მიწოდებასთან. მას ძირითადად იყენებენ რისკების საკუთარ თავზე ასაღებად, ან პირიქით, რისკებისგან თავის ასარიდებად.



ლელა კატარია

მაგისტრი

ბუღალტრული აღრიცხვა

N17/2008

წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს გააჩნია პირობითი ღირებულება, რომელიც წარმოადგენს წონის ან მოცულობის ერთეულს, აქციების რაოდენობას, ვალუტის მოცულობას ან კონტრაქტით განსაზღვრულ სხვა პარამეტრს.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, ნაცვლად საბაზისო ობიექტის პირდაპირი გზით მიწოდებისა, ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან იმაზე, რომ გაცვალონ ფულადი ან სხვა სახის აქტივები მომავალში, დროის განსაზღვრული მონაკვეთისათვის.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების შეძენისას გადაიხდება გარკვეული საფასური, რომელიც ზოგჯერ პრემიის, ზოგჯერ — მარჟის სახელწოდებითაა ცნობილი.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სახეობა: ოფციონი, ფიუჩერული კონტრაქტები, ფორვარდული კონტრაქტები და სვოპი.

ოფციონი ესაა კონტრაქტი ორ მხარეს შორის, რომლითაც ერთი მხარე ყიდულობს, ხოლო მეორე მხარე ყიდის ფიქსირებულ ფასად, ოფციონის პირობებით გათვალისწინებულ ვადაში აქტივების გარკვეული კატეგორიის შეძენის უფლებას (და არა ვალდებულებას).

საერთაშორისო პრაქტიკაში განასხვავებენ ორი ტიპის ოფციონს: „**ოფციონს ყიდვაზე**“ (Call Options) და „**ოფციონს გაყიდვაზე**“ (Put Options).

Call Options - ის შეძენის დროს მყიდველი ვარაუდობს, რომ მოსალოდნელია აქტივზე ფასების ზრდა. ამ შემთხვევაში გადახდილი პრემია აღირიცხება შემდეგნაირად:

ღებავიტი - ფინანსური/არაფინანსური აქტივები;

კრედიტი - ფულადი

სახსრები სალაროში/ბანკში.

აქტივების შეძენა აისახება შემდეგი გატარებით:

ღებავიტი - ფინანსური/არაფინანსური აქტივები;
კრედიტი - ფულადი სახსრები სალაროში/ბანკში.

რაც შეეხება Put Options - ს, მას მიმართავენ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მომავალში აქტივებზე ფასების დაცემა. შესაბამისად, Put Options - ის შეძენის შემთხვევაში გადახდილი პრემია აისახება შემდეგი ბუღალტრული გატარებით:

ღებავიტი - ოფციონზე გადახდილი პრემია;

კრედიტი - ფულადი

სახსრები სალაროში/ბანკში.

აქტივების გაყიდვა საბალანსო ღირებულებაზე მაღალ ფასად აღირიცხება შემდეგნაირად:

ღებავიტი - ფულადი სახსრები სალაროში/ბანკში;

კრედიტი - არასაოპერაციო მოგება;

კრედიტი - ფინანსური/არაფინანსური აქტივები.

ოფციონისათვის გადახდილი პრემიის ჩამოწერა შეძენილი (გაყიდული) აქტივების შესაბამისად, აისახება როგორც არასაოპერაციო ზარალი, შემდეგი ბუღალტრული გატარებით:

ღებავიტი - არასაოპერაციო ზარალი;

კრედიტი - ოფციონზე გადახდილი პრემია.

ფიუჩერული კონტრაქტი ესაა ისეთი ხელშეკრულება, რომლითაც მყიდველი ლეზულობს, ხოლო გამყიდველი ახორციელებს განსაზღვრული საქონლის ან ფინანსური ინსტრუმენტის მიწოდებას განსაზღვრულ ადგილზე და დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, კონტრაქტის შედგენის თარიღით დადგენილი ფასით.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ფიუჩერული კონტრაქტებისას მხარეები ბროკერების მეშვეობით ახორციელებენ ნებისმიერ ოპერაციას.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ფიუჩერული გარიგებისას მყიდველისთვის რისკი საკმაოდ მაღალია, ვინა-



იდან ფიურერსული კონტრაქტის ვადის გასვლის შემდგომ ანგარიშსწორება სავალდებულო ხასიათს ატარებს. ამასთან, ფიურერსული ხელშეკრულებები ქმნიან ისეთ სიტუაციას, რომელიც უზრუნველყოფს საქონლის ფლობასთან დაკავშირებული რისკების იმ პირებზე გადანაწილებას, რომლებსაც სურთ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, შესაძლო მოგების მიღების სანაცვლოდ.

ფიურერსული გარიგების მონაწილე მხარეები ახორციელებენ საგარანტიო შენატანებს ყოველი გარიგების მიხედვით, რომელიც ორი სახისაა: **თავდაპირველი, ანუ საწყისი მარჟა და ვარიაციული**, იგივე **ცვლადი მარჟა**.

საწყისი მარჟის გადახდა განიხილება როგორც ფიურერსული კონტრაქტის დეპოზიტთან დაკავშირებით მოთხოვნების წარმოშობა და ბუღალტრულად აისახება შემდეგნაირად:

დებიტში - ფიურერსული კონტრაქტის დეპოზიტი;
კრედიტში - ფულადი სახსრები
სალაროში/ბანკში.

საწყისი მარჟის უკან დაბრუნების შემთხვევაში, შედგება შემდეგი ბუღალტრული გატარება:

დებიტში - ფულადი სახსრები სალაროში/ბანკში;
კრედიტში - ფიურერსული
კონტრაქტის დეპოზიტი.

რაც შეეხება ვარიაციული (ცვლადი მარჟის) და-რიცხვას, ეს ხდება მაშინ, როდესაც ფასების არახელსაყრელ ცვლილებებს აქვს ადგილი. კერძოდ, თუ ფასები ისე იცვლება, რომ მონაწილე მხარეს ანგარიშზე რჩება საწყისი მარჟის 75%-ზე ნაკლები, იგი ვალდებულია შეავსოს მარჟა (75%-მდე).

ვარიაციული მარჟის გადახდა აღირიცხება შემდეგნაირად:

დებიტში - ფიურერსული კონტრაქტის დეპოზიტი;
კრედიტში - ფულადი სახსრები
სალაროში/ბანკში.

გადახდილი მარჟა მიეკუთვნება ან არასაოპერაციო ზარალს (ფასების დაცემის შემთხვევაში) ან არასაოპერაციო მოგებას (ფასების ზრდის შემთხვევაში) და აისახება შემდეგი ბუღალტრული გატარებებით:

დებიტში - არასაოპერაციო ზარალი;
კრედიტში - ფიურერსული
კონტრაქტის დეპოზიტი.

ან
დებიტში - ფულადი სახსრები სალაროში/ბანკში;
კრედიტში - არასაოპერაციო მოგება.

ფორვარდული კონტრაქტი ურთიერთობის ისეთ ფორმას წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს გარკვეული ვალდებულების წარმოშობას, როდესაც მყიდველი თანახმაა იყიდოს და გამყიდველი თანახმაა მი-ანოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბაზისო ობიექტი, მომავლის განსაზღვრულ პერიოდში, ფიქსირებულ ფასად. თუმცა, ასეთი ვალდებულების არსებობა სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ფი-

ნანსური ინსტრუმენტის აღიარება ხდება მაშინათვე — პირიქით, საბაზისო ობიექტის ყიდვის (მიწოდების) ვალდებულება წარმოიშობა მომავლის განსაზღვრულ პერიოდში - ანუ მაშინ, როდესაც რეალურად დადგება საბაზისო ობიექტის ყიდვის (მიწოდების) ვალდებულება. სწორედ ამიტომაც, რომ ასეთ ხელშეკრულებებს გაფორმებისას ნულოვანი ღირებულებები გააჩნიათ და ზოგჯერ, „ჩვეულებრივი“ ხელშეკრულებების სახელითაც კი მოიხსენიება.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ვალდებულების ხანმოკლეობის გამო ფორვარდული ტიპის ხელშეკრულებების ფინანსურ ინსტრუმენტებად აღიარება არ ხდება. შესაბამისად, აღრიცხვაში მათი ასახვა ხდება მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მხარეებს შორის ანგარიშსწორებას, შემდეგი ბუღალტრული გატარებებით:

დებიტში - ფინანსური/არაფინანსური აქტივები;
კრედიტში - ფულადი სახსრები
სალაროში/ბანკში.

აქტივების ყიდვის შემთხვევაში
ან
დებიტში - ფულადი სახსრები სალაროში/ბანკში;
კრედიტში - ფინანსური/არაფინანსური
აქტივები.

აქტივების მიწოდების შემთხვევაში:
ანგარიშსწორების მომენტისათვის ფასების ცვლილება (ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასზე მეტ ან ნაკლებ ფასად) აღიარდება არასაოპერაციო ზარალად ან მოგებად, შემდეგი ბუღალტრული გატარებებით:

დებიტში - არასაოპერაციო ზარალი;
კრედიტში - ფინანსური/არაფინანსური
აქტივები.

ან
დებიტში - ფინანსური/არაფინანსური აქტივები;
კრედიტში - არასაოპერაციო მოგება.

სვოპი წარმოადგენს ისეთ ხელშეკრულებას, რომელიც გულისხმობს ერთი აქტივის ან ვალდებულების სხვა ანალოგიურ აქტივში ან ვალდებულებაში გაცვლას რისკების გაზრდის ან შემცირების გზით, შემოსავლების მაქსიმიზაციის ან დანახარჯების მინიმიზაციის მოტივით. სვოპებიდან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი: **აქტივების სვოპი, საბაზისო სვოპი, აქციების სვოპი, კრედიტის დეფოლტის სვოპი, სავალუტო სვოპი, ვალების სვოპი** და სხვ.

და ბოლოს, წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, მიუხედავად განსხვავებული შინაარსისა, ახასიათებთ ერთი საერთო თვისება: ყოველი მათგანი გულისხმობს ურთიერთობის ისეთი ფორმის არსებობას, რომლის დროსაც მხარეები თანხმდებიან გაცვალონ ესა თუ ის აქტივი ან ვალდებულება შესაძლო რისკის ფასად, მოგების მაქსიმალური ზრდის ან დანახარჯების მინიმუმამდე შემცირების მისაღწევად.